მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს სეუ-სა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

მემორანდუმი

ქ. თბილისი

19.03.2019 წელი

საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ წარმოდგენილი რექტორის, გია კავთელიშვილის მიერ და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის მიერ, (შემდგომში–მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

   წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

   მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს საგნამანათლებლო, პრაქტიკული და სამეცნიერო ბიბლიოთეკების მიმართულებით. მხარეები იღებენ ვალდებულებას შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

3. მემორანდუმის ამოცანები

   მხარეები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში სტუდენტების მომზადებისთვის ხელშეწყობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:

   3.1. აკადემიური, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;

   3.2. ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების ორგანზიება და მათში მონაწილეობის მიღება;

   3.3. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური გამოცემების და ელექტრონული ფორმის მასალების გაცვლა;

   3.4. სამეცნიერო მონაცემთა ბაზების წვდომაზე ურთიერთდახმარება;

   3.5. ტრენინგებში პერსონალის მონაწილეობა;

   3.6. საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის უფლება;

   3.7. მოქმედი სტანდარტების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყონ სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და გაცვლას.

   3.8. მხარეები ითანამშრომლებენ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

4. დასკვნითი დებულებები

4.1 წინმდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

4.2 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ შეწყვეტის მომენტამდე.

4.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ვალენტინა საყვარელიძე	გია კავთელიშვილი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს რექტორი
მის: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ #53	მის: წინანდლის ქ. 9
საქართველო ქ. თბილისი, 0113	საქართველო ქ. თბილისი
ტელ: (+995 32) 2 54 59 08	ტელ.: (+995 32) 2 90 00 00
ელ–ფოსტა: thu-posta@thu	ელ-ფოსტა: info@seu.edu.ge
ვებ–გვერდი: thu.edu.ge	ვებ–გვერდი: seu.edu.ge